ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 4124121001**
თარიღი:**30/04/2024**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტს, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 13.03.2019წ. №1/1-612 ბრძანებით საკუთრებაში გადმოეცა 2017 წლიდან (17.05.2017წ. №1/4-335 ბრძანება) სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებული, ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონება საკადასტრო კოდით 44.07.21.117. სრულიად საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ს/კ 44.07.04.231 (სადაც აღმართულია ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი) მონაცემების დაზუსტებისას გამოიკვეთა ზედდება მუნიციპალურ ქონებასთან ს/კ 44.07.21.295 და საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტში ფიქსირებული ფართობი 4029.1კვ.მ სიტუაციურად უმცირდებათ 1844კვ.მ-მდე.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 14 ოქტომბერს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრები, მონასტრები (როგორც მოქმედი, ასევე არამოქმედი), მათი ნანგრევები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ისინია განლაგებული საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად გამოცხადდა.

ვინაიდან, სახელმწიფოს მიერ გადმოცემული ქონების დაყოფის შემდგომ, დღეის მდგომარეობით მასზე მიმდინარეობს საბავშვო ბაღის მშენებლობა და ფაქტობრივად აღნიშნული მიწის ნაკვეთის ნაწილი წარმოადგენს სრულიად საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის საკუთრებას, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდებით 44.07.21.622, 44.07.21.465, 44.07.21.298 გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში შემდგომი განკარგვის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, 108-მუხლის შესაბამისად

1. გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები საკადასტრო კოდებით: 44.07.21.622, 44.07.21.465, 44.07.21.298 შემდგომში სრულიად საქართველოს საპატრიარქოსათვის გადასაცემად.

2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და საქართველოს საპატრიარქოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი